# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

## ბრძანება N 2-509

17/06/2020

ქ. თბილისი

**შპს „POLIMARR"-ის პოლიეთილენის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს (ნარჩენების აღდგენა) მოწყობა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის II დანართის მე-10 პუნქტის 10.3. ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს, შპს „POLIMARR"-ის პოლიეთილენის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს (ნარჩენების აღდგენა) მოწყობა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნა №55 (16.06.2020);
2. შპს „POLIMARR" ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს №55 (16.06.2020) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად:
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „POLIMARR"-ს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „POLIMARR"-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რაიონის გამგეობის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი